განკარგულება:**გ-81. 8125029001**
თარიღი:**29/01/2025**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №5

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში რუსთაველის №39-ში მდებარე მუსიკალური შენობის (ს/კ 89.03.24.001) პირველი სართულის ნაწილის 15.00 კვ.მ ფართის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს - ქალაქ ცაგერში რუსთაველის №39-ში მდებარე მუსიკალური შენობის (ს/კ 89.03.24.001) პირველი სართულის ნაწილის 15.00 კვ.მ ფართის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე.

2. წლიურ საწყის საიჯარო ქირად განისაზღვროს 1800 (ათასრვაასი) ლარი. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (ს/ნ 204852089) 2024 წლის 20 დეკემბრის № 008799624 დასკვნის თანახმად.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი